თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა

კომისიის სხდომის

ოქმი N 9

ქ. თელავი 2019 წლის 18 სექტემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **გიგა მამუკელაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, გიორგი ქიზიყელაშვილი, მიხეილ გრემელაშვილი, ლევან ლილუაშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N12 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს: ლ.კოჭლოშვილი

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N12 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ლევან კოჭლოშვილმა კომისიას გააცნო წარმოდგენილი პროექტი, როგორც მან აღნიშნა პროექტში ცვლილება განაპირობა განხორციელებული ღონისძიებების შედეგად დარჩენილმა

ეკონომიებმა კერძოდ: დღეის მდგომარეობით პროგრამა მოიცავს სამ ღონისძიებას ,,კულტურული ინიციატივები''-16 250 ლარი, ,,ხელოვნება და შემოქმედება -26 250 ლარი და აგრეთვე ,,არქეოლოგიური ბანაკი'' 27 500 ლარი, რომელთაგან ფესტივალი ,,ხელოვნება და შემოქმედება'' ასევე ,,არქეოლოგიური ბანაკი'' უკვე განხორციელდა, და ფესტივალის განხორციელების შედეგად დარჩენილმა ეკონომიამ შეადგინა 2000 ლარი ასევე ,,არქეოლოგიური ბანაკის'' განხორციელების შედეგად დარჩენილმა ეკონომიამ შეადგინა 620 ლარი, ცვლილების პროექტის თანახმად, განხორცილელებული ღონისძიებების შედეგად დარჩენილი ეკონომიები (2620) ლარი ემატება ღონისძიებას ,,კულტურული ინიციატივები'' რომელიც გამოყენებული იქნება ტრანსპორტირებით მომსახურებისათვის. ხოლო ცვლილების განხორციელება პროგრამის მთლიან ბიუჯეტზე გავლენას არ მოახდენს.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის წარდგენა საკრებულოსათვის განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე: ლევან კოჭლოშვილი.